ც ნ ო ბ ა

დამკვეთი: დავით ჭუმბურიძე

საფუძველი: 10.01.2014წ. №12/14010372-16

მისამართი: ქ. თბილისი, სექტორი (სამგორი), ვარკეთილის დასახლებაში, ზემო პლატოზე ნაკვ. №05/063.

საკადასტრო კოდი: №01.19.20.005.063

პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება: 03.06.2013 წ. №719917 (AR1131140)

ფუნქციური დანიშნულება: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. (III კლასი)

ობიექტის ადგილზე შემოწმებით (05.03.14) დადგინდა:

„1-5" ფასადი: „1-2" მონაკვეთში აივნების ნაცვლად მოწყობილია ფანჯრები. +39.50 ნიშნულის ქვევით დამატებით მოწყობილია ვიტრაჟები. „3-4" მონაკვეთში +7.50 ნიშნულთან დამატებით მოწყობილია საკომუნიკაციო მილი. „5-5" ღერძთან შეცვლილია მოაჯირების ნახატი, ასევე ოთხივე კარ-ფანჯარა შემცირებილია სიმაღლეში და შეცვლილია მათი ნახატი.

„5-1" ფასადი: „5-5" ღერძთან შეცვლილია მოაჯირების ნახატი, ასევე ოთხივე კარ-ფანჯარა შემცირებულია სიმაღლეში და შეცვლილი მათი ნახატი. „5-3" მონაკვეთში +7.50 ნიშნულთან ორი ორფრთიანი კარის ნაცვლად მოწყობილია ვიტრაჟები, ხოლო „4-4" ღერძთან დამატებით მოწყობილია საფეხურები და ლითონის მოაჯირები, აღნიშნულ მონაკვეთში არ არის მოწყობილი პანდუსი. „3-2" მონაკვეთში ოთხი ფანჯრის ნაცვლად მოწყობილია ხუთი და გაზრდილია მათი გაბარიტი, ასევე დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილი. „2-1" მონაკვეთში +7.50 ნიშნულთან შეცვლილია ლითონის ორფრთიანი კარის გაბარიტი და ნახატი, ხოლო +39.50 ნიშნულის ზევით შეცვლილია მოაჯირების ნახატი, ასევე ოთხივე კარ-ფანჯარა შემცირებულია სიმაღლეში და შეცვლილია მათი ნახატი. აივნები გაზრდილია სიგრძეში 1.10 მ-ით. „2-2" ღერძის მარჯვნივ ფანჯრებს მონაცვლებული აქვთ ადგილი. „1-1" ღერძთან ±0.00 და +7.50 ნიშნულებს შორის დამატებით მოწყობილია ლითონის მოაჯირი.

„a-e" ფასადი: დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილები. +39.50 ნიშნულის ქვევით არ არის მოწყობილი ფანჯრები.

„e-a" ფასადი: „e-d" მონაკვეთში ხუთი ფანჯრის ნაცვლად მოწყობილია ოთხი. „d-c" მონაკვეთში შეცვლილია მეტალის კარის ნახატი და ფერი, ხოლო მოაჯირი ნაწილობრივ გაუქმებულია. „c-c" ღერძთან დამატებით მოწყობილია მილი. „c-a" მონაკვეთში არ არის მოწყობილი ფანჯრები.

+13.550 ნიშნულის ზევით დამატებით მოწყობილია კიბე, ხოლო +16.750 ნიშნულზე „2-3" და „c-d" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია 2.50-მ სიმაღლის და 15.70 მ^2-ის მქონე სივრცე, ასევე დამატებით მოწყობილია ლითონის კარები. პარაპეტი გაზრდილია სიმაღლეში 0.50 მ-ით.

შეამოწმა **ო.ანდრონიკაშვილი**